ფედერაციის საერთო კრება

კოლეგებო,

გაცნობებთ, რომ 2026 წლის **26 ივნისს 15 საათზე** ჩატარდება ა(ა)იპ აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა **ფედერაციის საერთო კრება**. კრება ჩატარდება „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ შენობაში (მისამართი: თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქუჩა 61, მეშვიდე სართული).

დღის წესრიგი:

1. განვლილი საანგარიშო პერიოდის ანგარიშები:

1.1. გამგეობის ანგარიში (მომხს. ე.აფრიდონიძე);

1.2. სარევიზიო კომისიის ანგარიში.

2. გამოწვევები პროფესიაში და ფედერაციის განვითარების პერსპექტივა

(მომხს. ი.პაპასქუა)

2.1. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კომპიუტერული პროგრამის პრეზენტაცია

ლაშა ბუბუტეიშვილი

გუჯა მებურიშვილი

3. არჩევნები ფედერაციის მმართველობით ორგანოებში

3.1. გამგეობის წევრებისა და გამგეობის თავმჯდომარის არჩევნები;

3.2.სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები.

შენიშვნა: ფედერაციის წესდების თანახმად ფედერაციის წევრი სარგებლობს ხმისა და მმართველობით ორგანოებში არჩევის უფლებით, უპირატესობით და პრივილეგიით.

სურვილის შემთხვევაში, ფედერაციის წევრს შეუძლია წამოაყენოს თავის კანდიდატურა (დარეგისტრირდეს) გამგეობის თავმჯდომარის ან გამგეობის წევრის კანდიდატად. ამისათვის მან უნდა წარმოადგინოს თავისი CV (მოკლე ინფორმაცია და მისი ხედვა) მ. წლის 20 ივნისამდე. სასურველია გამოთქვას სურვილი რომელიმე კომიტეტში მუშაობის შესახებ.

4. ცვლილებები ფედერაციის წესდებაში

5. მიმდინარე საკითხები

გთხოვთ: ინფორმაცია წარმოადგინეთ და რეგისტრაცია (თანხმობა ყრილობაზე დასწრებაზე) გაიაროთ ფედერაციის ელ.ფოსტაზე gfaafm@gmail.com

ფედერაციის ადმინისტრაცია